მოკლე გამოძახილი
გურამ ჩიქოვანის ნაშრომის შესახებ, „შუა აზიის კაშკადარიული არაბული დიალექტი," წარდგენილს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

შუა აზიის არაბული დიალექტების მეცნიერული შესწავლა მსოფლიო არაბისტიკის ისტორიაში წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფურცელს. უხვი, მეტწილად საველე მუშაობის შედეგად მოპოვებული მასალის ღრმა ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა დაადგინა უზბეკეთში დამოუკიდებელი არაბული დიალექტების, ბუხარულისა და კაშკადარიულის, არსებობის ფაქტი.

თავად ბატონმა გიორგიმ ზედმიწევნით შეისწავლა ბუხარული არაბული დიალექტი და ამ თემას მიუძღვნა რამდენიმე ნაშრომი, მათ შორის 1956 წელს თბილისში რუსულ ენაზე გამოქვეყნებული კაპიტალური მონოგრაფია.

აკად. გ. წერეთლის წინადმა წვლილმა არაბულ დიალექტოლოგიაში ჰპოვა საყოველთაო აღიარება. მის შრომებს ამ დარგში გამოეხმაურნენ მსოფლიო არაბისტიკის ისეთი ავტორიტეტები, როგორებიც იყვნენ ჰ. ბირკელანდი, მ. იშტვანოვიჩი, დ. კოენი, ე. კრაჩკოვსკი და კ. პეტრაჩეკი.

მეტად სასიხარულო და მისასალმებელი გახლავთ ის ფაქტი, რომ მიმდინარე მომენტის სპეციფიურობისა და მრავალი პრობლემების მიუხედავად, რომლებიც ჩვენ დროში ახლავს სამეცნიერო მოღვაწეობას, ქართული სააღმოსავლეთმცოდნეო სკოლის წარმომადგენლებს შესწევთ უნარი ღირსეულად განაგრძონ კვლევა-ძიება ბატონი გიორგის მიერ თავის დროზე განსაზღვრული თემებისა და საკითხების ირგვლივ, კერძოდ კი არაბული დიალექტოლოგიის დარგში.

დისერტანტის ნაშრომი ეძღვნება ნაკლებად შესწავლილ კაშკადარიულ არაბულ დიალექტს. მკვლევარმა იმთავითვე თავისი მუშაობა წარმართა ორი მიმართულებით: 1. სკურპულოზურად ამუშავებდა ზოგადთეორიულ ლიტერატურას და კვლევის საკითხებთან დაკავშირებულ სხვადასხვა ენებზე შექმნილ ნაშრომებს. 2. წლების მანძილზე სამეცნიერო მივლინებით ჩადიოდა უზბეკეთში, კაშკადარიასა და სხვა მომიჯნავე რაიონების ყიშლაყებში საველე პირობებში

ინტენსიურად მუშაობდა ენობრივი და ფოლკლორული მასალების შეკრებაზე.

საუკუნეების მანძილზე კაშკადარიის არაბული დიალექტი როგორც სისტემა ვითარდებოდა ტაჯიკურის, უზბეკურის, თურქმენულის, ხოლო ბოლო დროს აგრეთვე რუსული ენების სისტემებთან კონტაქტის პირობებში. დიალექტის ლექსიკური ფონდი გამდიდრებულია უზბეკური, თურქმენული, ტაჯიკური, რუსული ნასესხობებით. ამავე დროს ფიქსირდება იშვიათი არაბული ფორმები. სპეციფიური ენობრივი და ეთნიკური გარემოცვა განაპირობებს იმას, რომ კაშკადარიის არაბული დიალექტის ფონეტიკის, ფონოლოგიის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკის შესწავლის პროცესში მაძიებელს წმინდა ლინგვისტური ასპექტების გარდა უნდა გაეთვალისწინებინა რიგი ექსტრალინგვისტური ფაქტორებიც.

მაძიებლის მიერ მიღწეული სხვადასხვა სისტემის ენების დონეებს შორის ინტერფერენციული პროცესების შესწავლის შედეგები სცილდება საკუთრივ არაბული დიალექტოლოგიის ფარგლებს და იძენს ზოგადთეორიულ ხასიათს.

დისერტანტი კვლევის ობიექტის ღრმა და მრავალმხრივი შესწავლის საფუძველზე ასკვნის, რომ კაშკადარიული დიალექტი წარმოადგენს პერიფერიული არაბული დიალექტებიდან ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ენობრივ ფენომენს, რომლის ენობრივი მახასიათებლები საყურადღებოა არამარტო არაბული ენის, არამედ ზოგადად, სემიტური ენების შესწავლის თვალსაზრისითაც.

ბატონი გურამის ნაყოფიერი მუშაობის შედეგები განიხილებოდა და იხვეწებოდა აკად. გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სემიტოლოგიის განყოფილების სხდომებზე, სხვადასხვა დონის რესპუბლიკურ და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე. მისი ნაშრომები საქართველოსა და რუსეთის გარდა გამოქვეყნებულია ევროპისა და აზიის ქვეყნების ავტორიტეტულ სამეცნიერო ცენტრებში.

ნაშრომის პრობლემატიკის აქტუალობამ, მაძიებლის მიერ საველე მუშაობის შედეგად მოპოვებულმა დიდძალმა საანალიზო მასალამ, ზოგადთეორიული და არაბული დიალექტოლოგიის კვლევის მეთოდოლოგიურ საკითხებში სათანადო გაწაფულობამ, ერუდიციამ, ფართო მეცნიერულმა თვალსაწიერმა და კვლევის შედეგად მიღწეულმა მნიშვნელოვანმა წარმატებებმა განსაზღვრეს ბატონი გურამ ჩიქოვანის საკვალიფიკაციო ნაშრომის მაღალი მეცნიერული დონე.

დისერტანტის დახასიათება არ იქნება სრული თუ არ აღვნიშნავთ მისი მომადლებული ნიჭის შესახებ სასწავლო, სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმეში. დავკმაყოფილდები მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ თბილისის აზიისა და აფრიკის წარმატებული ინსტიტუტის დაარსება და ქუთაისის უნივერსიტეტის წიაღში სააღმოსავლეთმცოდნეო კერის დაფუძნება ცალსახად უკავშირდება გურამ ჩიქოვანის სახელს. აგრეთვე არ შეძიძლია არ აღვნიშნო, რომ დისერტანტის აქტიური მოღვაწეობის შედეგად დამყარდა მრავალი სასარგებლო სასწავლო-სამეცნიერო კავშირი ევროპისა და აზიის სამეცნიერო ცენტრებთან და მაღალ დონეზე ჩატარდა სამეცნიერო ფორუმები.

ზემოაღნიშნული მაძლევს საფუძველს განვაცხადო, რომ ბატონ გურამ ჩიქოვანს უყოყმანოდ ეკუთვნის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

ჯემშიდ გიუნაშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი
საქართველოს ელჩი ირანის ისლამურ
რესპუბლიკაში

17.10.2002

პროფ. ჯ. გიუნაშვილის ხელმოწერას
ვადასტურებ

თეირანში საქართველოს
საელჩოს რეფერენტი
მ. ქურასბედიანი